2025 წლის 1 იანვარი - 31 დეკემბრის მდგომარეობით

შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ – (30 08)
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
<u>თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</u>

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება - (30 08)

პროგრამის განმახორციელებელი: შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 08	<u>საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება</u>					37 264,6

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

გადაუდებელი დახმარების ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“

2025 წლის 1-ლი იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორებმა **3 802 296** ზარს უპასუხეს. მიღებული ზარები დამუშავდა და საჭიროებისამებრ გადაეცა შესაბამის მომიჯნავე სამსახურებს.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრი

საანგარიშო პერიოდში სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი ,,112“-ის სასწავლო ცენტრის მიერ, ჯამში გადამზადდა - **511** პირი, მათ შორის, სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი ,,112“-ის - **422** თანამშრომელი, ხოლო სხვა ორგანიზაციის **- 89** პირი.

სასწავლო ცენტრის მიერ ასევე განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112“-ში მისაღებ კანდიდატთა საბაზისო ტრენინგი – 50 მონაწილე;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ,,კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგი“ – 41 მონაწილე;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის თანამშრომელთათვის ტრენინგი ,,საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი, დისციპლინური წესდება და შრომის შინაგანაწესი“ - 29 მონაწილე;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი ,,პირველადი სამედიცინო გადაუდებელი დახმარების შემსწავლელი კურსი“ – 111 მონაწილე;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის თანამშრომელთა გადამზადება ,,სტრესისა და ემოციების მართვის” მიმართულებით - 29 მონაწილე;

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი ,,ზარის მართვა“ – 9 მონაწილე;
საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი „საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულები და ტერიტორიული მოწყობა“ - 9 მონაწილე;
საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი „სუიციდის პრევენცია“ – 105 მონაწილე;
საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთათვის ,,ოპერატორების მენტორებად გადამზადების ტრენინგი“ – 15 მონაწილე;
საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის თანამშრომელთა ტრენინგი ,, ეფექტური კომუნიკაცია/სერვის პლუსი“ – 12 მონაწილე;
საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის თანამშრომელთა ტრენინგი ,,სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების მოთხოვნის დისპეტჩერიზაცია“ – 12 მონაწილე;
შსს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მოქალაქეთა საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელთა ტრენინგი ,,ეფექტური კომუნიკაციის როლი მომსახურების სფეროში“ – 12 მონაწილე;
შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო-სამორიგეო განყოფილების თანამშრომელთა ტრენინგი ,,ეფექტური კომუნიკაციის როლი მომსახურების სფეროში“ – 8 მონაწილე;
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლების (ოჯახის ექიმები) ტრენინგი ,,ERC კლიენტის ფუნქციონალი და მისი გამოყენება სამუშაო პროცესში“– 69 მონაწილე.

ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განვითარება

საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით დამონტაჟდა - **466** ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა და **86** ნომრის ამომცნობი ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა; ამოქმედდა **38** სიჩქარის კონტროლის სექცია, რომელიც ფარავს **170.24** კმ-ს. ჯამურად, ქვეყნის მასშტაბით დამონტაჟებულია - **8 886** ვიდეოკამერა, საიდანაც, **6 371** არის ზოგადი ხედვის, ხოლო, **2 515** ნომრის ამომცნობი ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა; ქვეყნის მასშტაბით ამოქმედებულია - **658** სიჩქარის კონტროლის სექცია, რომელიც ფარავს **2327**კმ-ს.

ელექტრონული მონიტორინგის სისტემა

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ელექტრონული ზედამხედველობა დაუწესდა - **42** მოძალადეს, ხოლო სასამართლოს მიერ ელექტრონული ზედამხედველობა დაკანონდა - **37** შემთხვევაში.

ინფრასტრუქტურული პროექტები

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ, მიმდინარეობს დამატებითი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა.